netgazeti.ge ბათუმელები

www.netgazeti.ge www.batumelebi.ge

თარიღი: 25.01.2017
შპს ,,გაზეთი ბათუმელები''
ს/კ: 204447651; რეგ. # 06/4-1352;
მის.: ბათუმი. მ. აბაშიძის გამზირი No. 48;
თბილისი. პასტერის ქ No. 7.
ტელ.: 322960830 ტელ.: 422 279912;
ელ. ფოსტა: mziaamaglobeli@gmail.com

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს – დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ნინო მამალაძეს

ქალბატონო ნინო

ჩვენი, როგორც თავისუფალი მედიის უმთავრესი მიზანი, საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის ხელშეწყობაა. სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება ჩვენი გამოცემების სარედაქციო პოლიტიკა და აქედან გამომდინარე ვქმნით კონტენტს, რომელიც მიგვაჩნია რომ ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი საზოგადოების განვითარებას, გაძლიერებასა და განათლებას. ადამიანების უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რეკლამის განთავსების და გავრცელებისას ისეთივე ეთიკური პრინციპებით ვხელმძღვანელობთ, როგორც სარედაქციო კონტენტის შემთხვევაში. ყველა სარეკლამო მასალას აქვს მითითებული, რომ აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს რეკლამას. სარეკლამო მასალები არ შეიცავს რომელიმე პირის ან/და ჯგუფის დისკრედიტაციას.

ჩვენი გამოცემები მედიაბაზარზე გამოირჩევა სანდოობით და მზარდი აუდიტორიით. გვაქვს გადამოწმებული მედიის რეპუტაცია, რაც რეკლამის ეფექტურობას და სამიზნე აუდიტორიისთვის რეკლამის, როგორც ინფორმაციის მიტანას უწყობს ხელს.

თუ თვლით, რომ საჭიროა თქვენი სამინისტროს, მიმდინარე პროექტების ან დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ჩვენი საინფორმაციო საშუალებებიდან მიიღოს ჩვენმა მკითხველებმა იმაზე მეტი ან უფრო მრავალფეროვანი ინფორმაცია, ვიდრე შუქდება, გთავაზობთ სარეკლამო თანამშრომლობას [კოდი: 79341000].

- **PR სტატიის განთავსება ახალი ამბების ნაციონალური ვებ გვერდზე – netgazeti.ge.** გვერდს დღეში საშუალოდ 8 – 12 ათასი უნიკალური ვიზიტორი ჰყავს. ფეისბუქ გვერდს კი 56 000–მდე მომხმარებელი. შემოთავაზებული სარეკლამო აქტივი – PR სტატია. თვეში არაუმეტეს 4 მზა PR სტატიის განთავსება {+ვიდეო/ფოტო]. ახალი მასალა

ერთი დღე  დაიდება გამოცემის მთავარ გვერდზე და გაშეარდება გამოცემის ფეისბუქ გვერდის საშუალებით. **ფასი: 4950 ლარი** [11 თვე X 450 ლარი]

- PR სტატიის განთავსება ახალი ამბების ჰიპერლოკალური ვებ გვერდზე – batumelebi.ge. გვერდს დღეში საშუალოდ 3 – 5 ათასი უნიკალური ვიზიტორი ჰყავს. ფეისბუქ გვერდს კი 19 000 – მდე  მომხმარებელი. შემოთავაზებული სარეკლამო აქტივი – PR სტატია. თვეში არაუმეტეს 4 მზა PR სტატიის განთავსება {+ვიდეო/ფოტო].   ახალი მასალა ერთი დღე  დაიდება გამოცემის მთავარ გვერდზე და გაშეარდება გამოცემის ფეისბუქ გვერდის საშუალებით.  **ფასი: 2475 ლარი** [11 თვე X 225 ლარი]

გთხოვ განიხილეთ წარმოდგენილი წინადადება და გვაცნობოთ პასუხი.

თქვენი რეკლამა ჩვენს  მედიაგამოცემებში იმის დასტური იქნება, რომ თქვენ მხარს უჭერთ თავისუფალი,  პროევროპული ქვეყნის შექმნას, ეთიკურ მედიას, განათლებას და გავლენებისგან თავისუფალ ბიზნესგარემოს.

 დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთვევაში გთხოვთ გაეცნოთ თანდართულ ფაილს [მედია კიტი]  ან/და დაგვიკავშირდეთ.

პატივისცემით

-----------------------------------

მზია ამაღლობელი

შპს ,,გაზეთი ბათუმელები’’

მარკეტინგის სამსახური

შპს ,,გაზეთი ბათუმელები'' რეგისტრირებული თბილისის მთაწმინდა კრწანისის რაიონულ სასამართლოში. რეგისტრაციის # 06/4-1352;
ბათუმი. მ. აბაშიძის გამზირი №. 48; ტელ.: 422 279912; თბილისი; პასტერის ქ №. 7. ტელ.: 2960830
ვებ. გვერდი: www.netgazeti.ge; www.batumelebi.ge; ელ. ფოსტა: mziaamaglobeli@gmail.com